საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030118423183420

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3983 **03 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის № 674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N213 დადგენილების თანახმად: „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ პროგრამული კოდით 27 03 03 11 დაემატა ახალი კოდი „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის ცენტრის მიერ განსახორციელებლი ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 11 03) (განმახორციელებელი - სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ფუნქციონალური კოდი - 7. 07. 6, საიდენტიფიკაციო კოდი - 211324351), ხოლო 27 03 03 11 01 კოდს და 27 03 03 11 02 კოდს შეეცვალა სახელი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის სამინისტროს მიერ განსახორციელებლი ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი – 27 03 03 11 01) და „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი - 27 03 03 11 02). ასევე, ეპიდზედამხედველობის პროგრამის ასიგნება საჭიროებს გაზრდას, კორონავირუსის საწინააღმდეგო აქტივობებისთვის ცენტრის ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული სამსახურების სპეციალისტების პირადი დაცვის საშუალებებით, საკვლევი მასალის ასაღები სახარჯი მასალებისა და მალარიის სამკურნალო მედიკამენტის დამატებითი მარაგის შესასყიდად.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულ განკარგულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განახორციელოთ ცვლილება დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური